

## მანია მარსინაშვილი-რაფაელი (საფრანგეთი)

### მასალები გრიგოლ რობაქიძის შესახებ ჟენევის სახელმწიფო არქივიდან

გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და შემოქმედება, მიუხედავად ბოლო წლებში განეული ინტენსიური მუშაობისა, ჯერ კიდევ კვლევას მოითხოვს. დასაზუსტებელია მწერლის ბიოგრაფიის ბევრი თარიღი თუ ფაქტი, შესაჯერებელია ინფორმაციები და წყაროები. კვლევას საარქივო დოკუმენტური მასალების სიმწირეც ართულებს, რაც განსაკუთრებით ემიგრანტულ პერიოდს შეეხება. მწერლის მიერ შვეიცარიაში გატარებული 17 უკანასკნელი წელიწადი თითქმის მთლიანდ ბუნდოვანებით არის მოცული. მის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის გრიგოლ რობაქიძის პირადი მიმოწერა, ახლობელთა მოგონებები. ძალზე საყურადღებოა მასალა, რომელსაც ხუთტომეულში თავს უყრის ლ. ცომაია. ა. ბაქრაძე წიგნში *კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი* აჯამებს მის ხელთ არსებულ წყაროებს, რათა მწერლის ცხოვრების შვეიცარიული პერიოდი აღწეროს. ფაქტობრივი მასალა საკმაოდ მცირეა. შესაძლოა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ დამუშავებულმა მწერლის პირადმა არქივმა, რომელიც 378 ერთეულს მოიცავს და ძირითადად კალისტრატე სალიას მიერ გადაცემული მასალისაგან შედგება, ნათელი მოჰფინოს გრიგოლ რობაქიძის შვეიცარიაში ცხოვრების ზოგიერთ დეტალსაც.

ამჯერად, მსურს ახალი, ჯერ გამოუქვეყნებელ მასალა შემოგთავაზოთ. ჩემს ხელთაა ჟენევის კანტონის სახელმწიფო არქივში დაცული ორი დოსიე (265263 და 10968). დოსიეთა საერთო მოცულობა 77 ერთეულია და შედგება ადმინისტრაციული და იურიდიული დოკუმენტაციისაგან. დოკუმენტები 1945 წლიდან 1955 წლამდეა დათარიღებული. საინტერესო და აუხსნელია ის ფაქტი, რომ 1955 წლიდან რობაქიძის კვალი ჟენევაში იკარგება, მაშინ, როდესაც ვიცით, რომ იგი აქ ცხოვრობდა 1962 წლამდე და აქვე გარდაიცვალა.

საბუთები შედგენილი და გაცემულია ჟენევის ოლქის ტერიტორიული პოლიციის, ბაზელის კომენდატურისა და პოლიციის, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კანტონალური პოლიციის, სასამართლო და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ჟენევის ადვოკატთა ბიუროს, მისახლეობის კონტროლის ბიუროს მიერ. რამდენიმე გერმანული საბუთის გამოკლებით, მასალები ფრანგულენოვანია. აქვეა მწერლისა და მისი მეუღლის მიერ შევსებული და ხელმოწერილი კითხვარები, ანკეტები, თხოვნები და ხელწერილები, ძირითადად, ფრანგულ ენაზე. საყურადღებოა, რომ ფრანგულ ენაზევეა გრიგოლ რობაქიძის ხელით შესრულებული მინაწერები და შენიშვნები, რაც მწერლისრლის მიერ ამ ენის ფლობაზე მიგვანიშნებს.

ეს ოფიციალური, მშრალი ქაღალდები — ბინადრობისა და გადაადგილების ნებართვები, სასამართლო გამოძახებები, სამხედრო და სამოქალაქო კონტროლის

ანგარიშები, აღრიცხვის ფურცლები, ანკეტები — უდიდესი სიზუსტითა და გულ-მოდგინებით აგვიწერს გრიგოლ რობაქიძისა და ელენა ფიალკინას ოდისეის ათ წელნადს. შევეცადოთ, აღვადგინოთ იგი საარქივო მასალებზე დაყრდნობით.

შვეიცარია ჯერ კიდევ ომამდე აღმოჩნდა ჭარბი არაასიმილურული ემიგრაციისა და უმუშევრობის ზრდის საფრთხის წინაშე. ნაციონალურ-სოციალისტური დიქტატურის თორმეტწლიანი ბატონობის პერიოდში ათეულ ათასობით ადამიანმა სცადა აქ შეხიზვნა. ამ ნეიტრალურ ტერიტორიაზე თავის შეფარებას ლამობდნენ პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური თუ სხვა ნიშნით დევნილი ადამიანები, გამოქცეული სამხედროები, საომარი ზონების მკვიდრნი, აგრეთვე შურისძიებას გამოქცეული ნაცისტები. ომის დროს შვეიცარიამ შეიფარა 60 000 ლტოლვილი, რომელთაგან თითქმის ნახევარს ებრაელები შეადგენდნენ\* (დამოუკიდებელ... 2002: 109). ომის წლებში მოზღვავებულ, ძირითადად გერმანიიდან და ავსტრიიდან გამოქცეულ ლტოლვილთა ნაკადის მართვა მეტად ძნელი შეიქნა და მათი მიღების პოლიტიკა ომის პირველ წლებში საკმაოდ გამკაცრდა. სამთავრობო ინსტრუქციით, „არასასურველი პირებს“ დაუყოვნებლივ აძევებდნენ. ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ებრაელები, ექსტრემისტები, ჯაშუშურ საქმიანობაში ეჭვმიტანილები (ფლუკინჟერი... 2000: 70-71). 1943 წლიდან საიმიგრაციო პოლიტიკა შერბილდა. შემცირდა გაძევებულთა რიცხვი. 1944 წელს შვეიცარიამ 18 ათას ახალ ლტოლვილს გაუღო კარი. ამავე წლის სამთავრობო ბრძანების თანახმად, ოფიციალურად ნებადართული გახდა ყველა იმ სამოქალაქო პირის მიღება, რომელთა სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა.

ერთ-ერთ სიაში, რომელიც შვეიცარიული ხელისუფლების მიერ 1945 წელსაა შედგენილი, მრავალი ასეული ადამიანია. გვართა უმრავლესობა ებრაულ წარმოშობას ამხელს. ამ სიაში ორი ლტოლვილიც ურევია: გრიგოლ რობაქიძე და ელენა ფიალკინა. ჟენევის პოლიციის მიერ მოსახლეობის კონტროლის დამადასტურებელ ცნობებში ამავე დღეს შემოსულად იხსენიება ელენა ფიალკინას დისწული, ელენა პოგორელოვა, დაბადებული 1925 წლის 17 ოქტომბერს. მონაცემები, რომელთაც ცოლ-ქმარი შვეიცარიის ტერიტორიაზე შემოსვლისას, 1945 წლის 23 აპრილს, მიუთითებს, უცვლელად განმეორდება ყველა ოფიციალურ დოკუმენტში:

ელენა ფიალკინა, დაბადებული 1900 წლის 22 აპრილს, ორიოლში.

მშობლები: ვლადიმერ ფიალკინი და ანტონინა კონდრატიევა.

მოქალაქეობა: აპატრიდი\*\*.

რელიგია: მართლმადიდებლობა.

გრიგოლ რობაქიძე, დაბადებული 1884 წლის პირველ ნოემბერს.

მშობლები: ტიტე რობაქიძე და ქეთევან ბოჭორიშვილი.

მოქალაქეობა: აპატრიდი.

რელიგია: მართლმადიდებლობა.

\* სტატიაში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობა დამოუკიდებელ ექსპერტთა კომისიის 2000-2001 წლის ანგარიშს „შვეიცარია, ნაციონალ-სოციალიზმი და მეორე მსოფლიო ომი“.

\*\* 52 000 ლტოლვილს შორის, რომელთაც შვეიცარიის საზღვარი 1935 წლის სექტემბრიდან 1945 წლის 8 მაისამდე გადალახეს, აპატრიდად ჩაინერა მხოლოდ 2 200 ადამიანი.

პროფესია: მწერალი.

მოქალაქეობის ჩამორთმევის/უარყოფის მიზეზი: პოლიტიკური.

ქორწინების თარიღი და ადგილი: 1921 წლის დეკემბერი, თბილისი.

მწერლის დაბადების თარიღად ყველგან 1884 წლის 1 ნოემბერია (ახალი სტილით) ჩანერილი. აკაკი ბაქრაძე მიუთითებს რობაქიძის მიერ საკუთარი დაბადების თარიღის შეგნებულ გაყალბებასა თუ მისტიფიკაციაზე (ბაქრაძე, 2005: 2-4). იგი ემყარება ორ არგუმენტს: დაბადების აქტის ახლადმიკვლეულ ჩანაწერსა და გერმანელი მწერლის ჰანს-ჰასო ფონ ველტჰეიმისადმი\* მინერილ რობაქიძის წერილს, დათარიღებულს 1955 წლის 25 სექტემბრით. ამ წყაროთა მიხედვით, გრიგოლ რობაქიძე დაბადებულია 1880 და არა 1884 წელს. თავად მწერალმა მხოლოდ ერთი ავტობიოგრაფიული მონათხრობი, „ჩემი ცხოვრება“, დაგვიტოვა, რომელშიც თარიღები საკმაოდ ძუნწად არის მინიშნებული.

მწერლის დისწული, როსტომ ლომინაშვილი, დაბადების თარიღად ადგენს 1880 წლის 1 ნოემბერს („თარიღის დადგენისათვის“, გაზ. *ლიტერატურული საქართველო*, 1988 წლის 18 მარტი) და მასვე უთითებს კრებულში *ჩემთვის სიმართლე ყველაფერია*. იგი ამავე კრებულს ურთავს დაბადების მონმობის განმეორებით ასლს. საბუთი, რომელიც ზესტაფონის მმარის არქივის მიერ გაცემულია 1988 წლის 10 მარტს, ამკარა უზუსტობას შეიცავს: დაბადების ადგილად მითითებულია საქართველოს სსრ. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია სვირის ეკლესიის ჩანაწერი, რომლის საფუძველზეც გაიცა განმეორებითი ცნობა.

რაც შეეხება ველტჰეიმისადმი მინერილ წერილს, მასში რობაქიძე ნაგვიანევი სინდისის ქენჯნას გამოხატავს საზღვარგარეთულ პასპორტში დაბადების თარიღის შეცვლის გამო, რაც, მისი სიტყვით, ყველა ოფიციალური დოკუმენტის დოკუმენტის მცდარი ქრონოლოგიის წყარო გამხდარა. მწერალი დაბადების ჭეშმარიტ თარიღს უმხელს ადრესატს: 1880 წლის 15 ოქტომბერი. ხომ არ არის ეს სურვილი იმისა, რომ საკუთარი დაბადების დღე მეგობრისას დაამთხვიოს (ჰანს-ჰასო ველტჰეიმი დაბადებული იყო 15 ოქტომბერს). რაც შეეხება თარიღს, ხომ არ ენიჭება მას განსაკუთრებული სიმბოლიკა, თუ გავიხსენებთ რომ წერილის ადრესატი ეზოთერიზმითა და მისტიურ-სპირიტუალური თეორიებით არის გატაცებული?

რობაქიძის „აღსარების“ მონმა კიდევ ერთი პიროვნება — მისი ნათესავი და ახლობელი ალექსანდრე ფანჩულიძე. მისი ცნობით, 1962 წლის აგვისტოში, ის და ნიკო ყურულაშვილი მწერალს ჟენევაში ეწვიენ (ეს შეხვედრა უკანასკნელი აღმომჩნდა). უკვე ხანდაზმულმა რობაქიძემ მას გაუმხილა, რომ საზღვარგარეთ წასვლისას დაბადების თარიღი გადააკეთა: პირადობის მონმობის 1881 წელი ადვილად გადაასწორა 1884 წლად. ამრიგად, სანდრო ფანჩულიძე კიდევ ერთ, ამჯერად მესამე, თარიღს ასახელებს — 1881 წელს.

\* ჰანს-ჰასო ველტჰეიმ ოსტრავა (1885-1956), გერმანელი ერუდიტი, მოგზაური, მწერალი, ხელოვნების ქმნილებათა კოლექციონერი. იყო რუდოლფ შტაინერის მიმდევარი, აღმოსავლური ფილოსოფიითა და სულიერებით გატაცებული. 1951-1958 წლებში აქვეყნებდა „აზიის გაზეთს“. ახლო ურთიერთობა და მიმონერა ჰქონდა მრავალ პოლიტიკურ მეთაურსა და ინტელექტუალურ ლიდერთან.

როდის დაიბადა გრიგოლ რობაქიძე? დასახელებული წყაროების უნდობლობის საფუძველი არ გაგვაჩნია, მაგრამ მაინც იბადება კითხვა: სინამდვილეში როდის ეწვია მწერალს მისტიფიკაციის სურვილი, საზღვრის გადალახვისას თუ უცხოეთის მარტოობაში? სურს უფრო ახალგაზრდამ დაიწყო საკუთარი ქვეყნიდან მოშორებული ცხოვრება თუ ამ ცხოვრებით დამძიმებულს, წლების მომატება სურს, რათა ვაიმარელი ბრძენის ასაკში დაასრულოს სიცოცხლე?

მწერალი, როგორც ცნობილია, 1962 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა. სანდრო ფანჩულიძის მოგონებების მიხედვით, მან 19 ნოემბერს შეიტყო გარდაცვალების ამბავი, ხოლო 23 ნოემბერს იგი უკანასკნელ გზაზე გააცილა ცოლქმარ სალიებთან, ხარიტონ შავიშვილსა და რამდენიმე სხვა ქართველთან ერთად. გარდაცვალების თარიღად 19 ნოემბერს ასახელებს აკაკი ბაქრაძეც. რამდენადაც ვიცით, არსებობს 19 ნოემბრით დათარიღებული გარდაცვალების სამედიცინო დასკვნა, რომელზედაც ამჟამად, სამწუხაროდ, ხელი პირადად არ მიგვიწვდება. რაც შეეხება შვეიცარიულ ცნობებს, გარდაცვალების თარიღად ყველგან 1962 წლის 21 ნოემბერია აღნიშნული. შესაძლოა, ეს განსხვავება იმით აიხსნებოდეს, რომ ჟენევის პოლიციამ გარდაცვალების კონსტატაცია რეალური თარიღიდან ორი დღის შემდეგ მოახდინა.

დავუბრუნდეთ ლტოლვილ ცოლ-ქმარს. სანამ მათ განვილილ გზას გავყვებით, საჭიროდ მიმაჩნია, ორიოდე სიტყვით აღვწერო ომისდროინდელ შვეიცარიაში ლტოლვილთა მიღებისა და კონტროლის სისტემა. 110 კილომეტრიან საზღვარს ერთობლივად აკონტროლებდნენ სასაზღვრო, საბაჟო სამსახურები, პოლიცია, ჯარი, კანტონის ჟანდარმერია. საზღვრის არალეგალურად გადამკვეთი პირები გადაეცემოდნენ სამოქალაქო ან სამხედრო ხელისუფლებას. მათ საკითხს წყვეტდა სასამართლოსა და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტი პოლიციის განყოფილებასთან ერთად. სწორედ ისინი განაგებდნენ ლტოლვილთა ბანაკებს და აგვარებდნენ უკანონოდ შემოსულ პირთა განაწილების, გაძევებისა და სხვა საკითხებს. ლტოლვილთა ბანაკები ტერიტორიულ ოლქებს ექვემდებარებოდნენ. ტერიტორიული ოლქი, ლტოლვილთა დაკითხვისა და მათზე ცნობების მოძიების შემდეგ, ახდენდა მათ გადაწინაწინებას. რაც შეეხება სამხედრო ლტოლვილებს, ისინი სამხედრო ხელისუფლების განკარგულებაში განკარგულებაში იმყოფებოდნენ. ეს უკანასკნელი მართავდა აგრეთვე საპატიმროებსა და საავადმყოფოებს (ფლუკინჟერი... 2000).

თავიდან არალეგალურად შემოსულ პირებს ათავსებდნენ საზღვრისპირა ბანაკებში, საიდანაც, დაახლოებით სამი კვირის ვადით, გადაჰყავდათ საკარანტინო ბანაკებში. შემდეგ ეტაპს საერთო ბანაკი წარმოადგენდა. აქ ისინი უცდიდნენ განაწილებას შრომის ბანაკებსა და საერთო თავშესაფრებში ე.წ. *home*-ებში. თავისუფალი ადგილების სიმცირის გამო, ეს ლოდინი კვირაობით და ხშირად თვეობითაც გრძელდებოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ომის პირველ წლებში ბანაკის ცხოვრების პირობები მეტად მძიმე იყო. ოჯახის წევრებს აცალკევებდნენ, მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს სხვადასხვა ადგილას ანაწილებდნენ. ბანაკები არ თბებოდა, გაუმართავი იყო სანიტარიული მოწყობილობები, არ კმაროდა საკვები. შრომისუნარიან სამოქალაქო ლტოლვილებს სამუშაო და დისციპლინარულ ბანაკებში ფიზიკური, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება ევა-

ლებოდათ. ქალთა სამუშაოში შედიოდა შრომის ბანაკში მყოფთა ტანსაცმლისა და თეთრეულის რეცხვა, გაუთოება, კემსვა. ბანაკის ბინადრებზე მკაცრი მეთვალყურეობა იყო დანესებული: წერილები მოწმდებოდა, აკრძალული იყო უცხო ენაზე მიმოწერა. ლტოლვილებს ეკრძალებოდათ ტერიტორიული ოლქის დატოვება და ორმაგ, სამოქალაქო და სამხედრო კონტროლს ექვემდებარებოდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ადამიანი, ვინც შვეიცარიაში თავშესაფარს ეძებდა, საზღვრის გადალახვისთანავე მოვალე იყო ფული და ნებისმიერი ქონება, რომელიც 100 ფრანკის ღირებულებას აჭარბებდა, სასამართლოსა და პოლიციის ფედერალური დეპარტამენტისათვის ჩაებარებინა. ეს ქონება სამართავად გადაეცემოდა შვეიცარიის ეროვნულ ბანკს. სახელმწიფოს ამ გზით სურდა, უფრო ადვილად გაენია კონტროლი შეფარებულ პირებზე, თავიდან აეცილებინა ქურდობისა და შავი ბაზრის გაჩენის საფრთხე და თანაც, სცოდნოდა, შეეძლოთ თუ არა მათ საკუთარი რჩენის ხარჯების გაღება. თავის სარჩენ თანხას ლტოლვილები ბანკში დადებული საკუთარი ქონებიდან იხდიდნენ, თუმცა მოვალენი იყვნენ, ყოველი დანახარჯის შესახებ მოეხსენებინათ პოლიციის განყოფილებისათვის. თუ რამდენად გამართლებული იყო ესა თუ ის დანახარჯი, თუნდაც წამლის საყიდლად გაღებული ფული, პოლიციას უდა გადაეწყვიტა. ასე რომ, ლტოლვილობაში ყველა საერთო გაჭირვებას განიცდიდა, მდიდარიც და ღარიბიც.

რობაქიძეების წყვილი ქალაქ ბალის ბანაკში გაანაწილეს და როგორც ყველა ლტოლვილი, ორმაგ კონტროლზე აიყვანეს. უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის ბანაკთა პირობები შედარებით გაუმჯობესებული იყო და არც ოჯახის წევრებს ამორებდნენ ერთმანეთისგან. არსებობდა ლტოლვილთა საცხოვრებლის სხვა ფორმებიც — პანსიონები და ინდივიდუალური ბინა იმათთვის, ვისაც საარსებო სახსრების საკმარისი გარანტია გააჩნდა. 1943 წლიდან იმათ, ვინც სწავლა საკუთარი ქვეყნიდან გამოქცევის გამო შეწყვიტა, იმის საშუალებაც კი მისცეს, რომ სწავლა შვეიცარიის უნივერსიტეტებში განეგრძო. ამ უფლებით სარგებლობა შეძლო ელენა (ალია) პოგორელოვამაც.

ბანაკის პირობები მეტად რთული აღმოჩნდა ფიზიკურ შრომას შეუჩვეველი, უკვე ასაკში შესული მწერლისა და მისი მეუღლისათვის. მისდა სასიხარულოდ, მას კეთილისმყოფელები გამოუჩნდნენ, რომლებიც შეეცადნენ, საერთო ბანაკიდან დაეხსნათ მწერალი და მისთვის ინდივიდუალური საცხოვრებელი მოეპოვებინათ ან თავად შეეფარებინათ.

ერთ-ერთ დოსიეში აღმოჩნდა ჟენეველი ადვოკატის, ბ-ნი გერშეს, წერილი ჟენევის მოსახლეობის კონტროლის უფროსისადმი, დათარიღებული 1945 წლის 29 ივნისით. მოგვყავს იგი არასრული სახით:

„ნება მიბოძეთ, თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ შემთხვევას:

ამჟამად ბალის ბანაკში იმყოფებიან ლტოლვილები: ბ-ნი გრიგოლ რობაქიძე, ქართველი მწერალი და ქ-ნი ელენა ფიალკინა, მისი მეუღლე.

ამ ადამიანთა ჯანმრთელობა შერყეულია. მათ სასწრაფოდ ესაჭიროებათ მკურნალობა. განსაკუთრებით მძიმეა მწერალ რობაქიძის მდგომარეობა.

ისინი ითხოვენ, მისცეთ 3 თვით ჟენევაში ცხოვრების უფლება. ამ ხნის განმავლობაში ყოველგვარ ფორმალობას შეასრულებენ იმისათვის, რომ გაემგზავრონ საფრანგეთში, სადაც ქართული სათვისტომო აიღებს თავზე მათ რჩენას.

კავკასიელთა დახმარების ჟენევის კომიტეტი მზადაა, შეასრულოს თქვენს მიერ წამოყენებული ყოველგვარი ვალდებულება და გაილოს მათი რჩენის ყოველგვარი ხარჯი.

ორმა ადამიანმა უკვე შეიტანა თხოვნა ბალსა და ბერნში. აქ თავიდან აგაცილებთ ამ თხოვნათა განმეორებით ჩართვას.

ამასთან, ბატონი შავიშვილი, მცხოვრები გოეც მონინის 23-ში, ტელ. 4 57 09, მზად არის შეასრულოს ყოველგვარი პირობა, რასაც რასაც წაუყენებთ\*.

ვინ არიან ზემონახსენებ თხოვნათა ავტორები და ვის ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი გერშე? დოსიეში ჩართულია ერთი თხოვნა, ჟენეველი ემიგრანტის, ხარიტონ შავიშვილის, მიერ შევსებული. მეორე თხოვნის ავტორს თავად რობაქიძე იხსენიებს ერთ-ერთ ანკეტაში: პროფესორი ალბერტ მალში\*\*.

დოსიე მოსახლეობის კონტროლის ბიურომ სასამართლოსა და პოლიციის ფედერალურ დეპარტამენტს გადაუგზავნა, რომელიც მის შესწავლას შეუდგა და საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ დეკემბერში გამოიტანა. პასუხი უარყოფითია: თავმდების, ხარიტონ შავიშვილის, შემოსავალი არასაკმარისია იმისათვის, რომ მწერალს ინდივიდუალური საცხოვრებელი მიუჩინონ.

რობაქიძეების კვალს 1945 წლის ივლისში ბაზელის ბალის ბანაკში მივყავართ. 1945 წლის 1 აგვისტოს ისინი უკვე ჟენევის ბანაკში არიან. 3 აგვისტოს გაცემული ბინადრობის დროებითი ნებართვა მიუთითებს, რომ ისინი იმყოფებიან ჟენევის ტერიტორიული ოლქის პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. 7 სექტემბერს მათ ლტოლვილის ბარათებიც მიიღეს. ტერიტორიული ოლქის პოლიციის 1946 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით, ცოლ-ქმარი ჟენევაში, პიეტე დე როშმონის გამზირის 23-ე ნომერში მდებარე ლტოლვილთა პანსიონში გადაიყვანეს და გაათავისუფლეს სამხედრო კონტროლისაგან, თუმცა სამოქალაქო კონტროლი არ შეუწყვეტიათ.

პანსიონის ყოველი ბინადარი მკაცრ წესებს ექვემდებარება. აი, გრიგოლ რობაქიძის მიერ ხელმოწერილი ვალდებულებებები:

„მე, გრიგოლ რობაქიძე, დაბადებული 1884 წელს (...), ვადასტურებ:

ჟენევის ტერიტორიული ოლქის პოლიციის ოფიცერმა მაცნობა იმის შესახებ, რომ მეძღვევა შვეიცარიაში დროებითი ცხოვრების ნება თუ დავაკმაყოფილებ ქვემოთ დასახელებულ პირობებს.

ვალდებულებას ვიღებ, რომ:

1. პატივიპატივი ვცე შვეიცარიას, როგორც მიმღებ ქვეყანას. არ ჩავიდინო ამ ქვეყნის საზიანო არავითარ მოქმედებას, როგორცაა პოლიტიკური საქმიანობა და მესამე პირის სასარგებლოდ ჯაშუშობა.

2. შვეიცარიის ფარგლებს გარეთ მოსალოდნელი მგზავრობის შესახებ 24 საათით ადრე ვაცნობო პოლიციას.

\* ციტატები თარგმნილია სტატიის ავტორის მიერ.

\*\* ალბერტ მალში (1976-1956), ცნობილი ფილოლოგი, ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი. სხვადასხვა დროს იგი არის ჟენევის კანტონის სახალხო განათლების გენერალური მდივანი, დაწყებითი განათლების ხელმძღვანელი. 1931-1951 წლებში კი სახელმწიფო საბჭოს წევრია.

3. ვიცხოვრო შემდეგ მისამართზე: Av. Pictet de Rochemont, 23, ჟენევა და არ შევიცვალო მისამართი ჟენევის ტერიტორიული ოლქის პოლიციის ნებართვის გარეშე.

4. არ დავტოვო ჟენევის კანტონი პოლიციის საგანგებო ნებართვის გარეშე.

5. ბინაში ვიმყოფებოდე მუდამ საღამოს 22 საათიდან დილის 7 საათამდე.

6. დროულად გადავიხადო პანსიონის ხარჯები და თავიდან ავიცილო დაავადება და გაუმართლებელი ხარჯები.

7. ვიღონო ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად მივიღო შვეიცარიის დატოვებისათვის საჭირო საბუთები.

8. არ ვცადო შელწევა სამხედრო ზონაში.

9. არ ვიარო ბარებში და საცეკვაო მოედნებზე.

10. ვეცადო, ყველგან მოკრძალებულად დავიჭირო თავი.

11. არ ვანარმოო არანაირი საშემოსავლო საქმიანობა, თავი შევიკავო საკვებისათვის გაცემული ტალონებისა და ჩემი კუთვნილი საკვებით ვაჭრობისაგან.

12. ავადმყოფობის შემთხვევაში, იმავე დღეს გავაფრთხილო ტერიტორიული ოლქის ექიმი და მას გადავცე ჩემი მკურნალი ექიმის მიერ გაცემული ცნობა.

13. საცხოვრებელ ხარჯებს გავიღებთ ჩვენ თვითონ.

14. გავეცანი ყველა ბრძანებას, რომელიც მეხებოდა.

15. ვიცი, რომ საცხოვრებლის ხარჯების გადაუხდელობის, ცუდი ქცევის ან წინამდებარე ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჩემს მიმართ გამოყენებული იქნება მკაცრი დამსჯელობითი ზომები“.

პანსიონში ცოლ-ქმარს დიდი ხანი არ დაუყვია. მალე გადაწყდა მათი მოთავსება ჟენევაში თავშეფარებულ ინტელიგენტთა სასწავლო პანსიონში, ფრონტენექსის პლატო 11-ში. აქ ისინი 1946 წლის 25 მარტიდან 1948 წლის 10 მარტამდე დარჩნენ. რა ტიპის დანესებულებას წარმოადგენდა ეს თავშესაფარი, სადაც გრიგოლ რობაქიძე მოათავსეს როგორც მწერალი და როგორც შრომის ფიზიკურ უნარს მოკლებული პირი?

შრომის ბანაკებში ლტოლვილთა თანაცხოვრებას საკმაოდ ართულებდა მათი ეროვნული, რელიგიური, სოციალური თუ ასაკობრივი სიჭრელე. შვეიცარიის ხელისუფლებამ 1943 წელს შექმნა ახალი ტიპის ბანაკი, სადაც შედარებით ერთგვაროვან ბინადართ მოუყარა თავი. ამგვარი იყო საუნივერსიტეტო ბანაკი, აგრეთვე ინტელიგენტთათვის შეამნილი ბანაკი, სადაც რობაქიძეებს მიუჩინეს ბინა და რომელიც ყოფილ სასტუმროში იყო განთავსებული. თუმცა მისი ბინადარნი სამოქალაქო კონტროლისაგან არ თავისუფლდებოდნენ და არც უნებართვოდ გადაადგილების უფლება გააჩნდათ, შეეძლოთ, ეწარმოებინათ პროფესიული საქმიანობა. ისინი თავიანთ ნაწერებს აქვეყნებდნენ კონფედერაციის ხარჯზე გამოშვებულ პანსიონის ჟურნალში, რომელსაც *ფრონტენექსის დღიურები* ეწოდებოდა. სავარაუდოა, რომ 1945 წელს გამოსულ ჟურნალის სამ ტომში გრიგოლ რობაქიძის პუბლიკაციებიც ურევია.

ელენა ფიალკინამ, რომელსაც პროფესიული საქმიანობა არ გააჩნდა, ითხოვა, დაერთოთ რუსულის კერძო გაკვეთილების ჩატარების ნება, კვირაში 5 საათის

ოდენობით. სასამართლოსა და პოლიციის ფედერალურმა დეპარტამენტმა მას 1946 წლის 25 ივლისს მისცა სასურველი ნებართვა, მაგრამ მხოლოდ სამი თვის ვადით.

გრიგოლ რობაქიძემ, როგორც ჩანს, შესძლო მოეკრიბა მხნეობა და სამწერლო საქმიანობა განეგრძო. 1947 წლის დეკემბერში იგი პოლიციას წარუდგენს წლიური საქმიანობის გეგმას:

„1948 წლისათვის დაგეგმილი მაქვს, განვაგრძო მუშაობა ჩემს ორ ქმნილებაზე: *ისრაელი, საიდუმლო და ბედისწერა* და *იზიდას ქებთან*, რომელთა წერაც აქ დავასრულე. ამისათვის დამჭირდება ყენევის ბიბლიოთეკებში მუშაობა, მათ შორის ყენევის რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის გაცნობა“.

ფედერალური პოლიტიკის თანახმად, შვეიცარია იყო ტრანზიტის და არა ემიგრაციის ქვეყანა. თავშესაფარი შვეიცარიის ტერიტორიაზე მიჩნეული იყო როგორც დროებითი ეტაპი, რომელიც ლტოლვილის სხვა ქვეყანაში ემიგრაციით უნდა დასრულებულიყო. ხელისუფლება ყოველნაირად უბძებებდა აქ თავშეფარებული პირებს, სხვა ქვეყნებისაკენ განეგრძოთ თავიანთი მარშრუტი. მართლაც, ლტოლვილთა უმრავლესობამ ომის დასასრულისთანავე დატოვა ქვეყანა. დოსიეებში ჩართულ ანკეტებში გრიგოლ რობაქიძე აცხადებს, რომ შვეიცარიაში დარჩენის განზრახვა არ გააჩნია. ადვოკატი გერშეს ზემოხსენებული წერილი მიუთითებს, რომ რობაქიძის მიზანი შვეიცარიის გავლით საფრანგეთში გადასვლა და ფრანგულ სათვისტომოსთან შეერთებაა. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის უცნობ გარემოებათა გამო, მწერალი აზრს იცვლის და 1947 წელს მუდმივ თავშესაფარს სთხოვს შვეიცარიას. შესაძლოა, ამ გადაწყვეტილების მიზეზი შვეიცარიული პოლიტიკის ცვლილებაა. 1947 წლის 7 მარტს გამოვიდა სამთავრობო დადგენილება, რომლის თანახმადაც, მუდმივი თავშესაფრის მოთხოვნის უფლება მიენიჭათ იმ პირებს, რომელთაც, გარკვეული მიზეზის გამო (ავადმყოფობა, ასაკი და ა. შ.) სხვა ქვეყანაში გამგზავრება არ შეეძლოთ. უნდა ითქვას, რომ მუდმივი თავშესაფრის მინიჭება საკმაოდ მკაცრად ხდებოდა და მისი მიღება მხოლოდ 1345-მა ადამიანმა შეძლო (სამოქალაქო... 2000: 100).

1948 წელმა წყვილს შედარებითი მშვიდობა მოუტანა. მარტის დამდეგს ელენა ფიალკინამ სამსახური იშოვა. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპული ბიუროს ყენევის წარმომადგენლობაში დაქტილოგრაფისტად მიიღეს.

1948 წლის 19 მარტს *ყენევაში თავშეფარებულ ინტელიგენტთა სასწავლო პანსიონი*, სადაც რობაქიძეები ცხოვრობენ, უნდა დახურულიყო და მწერალმა ხელახლა აღძრა ინდივიდუალური ბინის საკითხი. ამჯერად მის თხოვნას მეტი საფუძველი ჰქონდა: გაერო-ში მუშაობა ელენა ფიალკინასა და მის მეუღლეს არა მხოლოდ აუცილებელ საარსებო სახსარს, არამედ შვეიცარიაში გრძელვადიანი ცხოვრების უფლებასაც აძლევდა, რაც მათ 1948 წლის 15 მაისს ოფიციალურად დაუდასტურა მისახლეობის კონტროლის ბიურომ. ელენე ფიალკინა, რომელიც საერთაშორისო მოხელეთა ლეგიტიმაციის ბარათის მფლობელი გახდა, გათავისუფლდა ლტოლვილის საცხოვრებელი პირობების შესრულების ვალდებულებისაგან და ივნისში ერთწლიანი შვეიცარიულ პირადობის მოწმობაც მიიღო. სანაცვლოდ, მან ჩააბარა უცხოელთათვის გაცემული გერმანული პასპორტი.



გრიგოლ რობაქიძემ, როგორც გაერო-ს თანამშრომლის მეუღლემ და ელენა ფიალკინას დის შვილმა, ელენა პოგორელოვამ, მოითხოვეს შვეიცარიაში მუდმივი ცხოვრების ნებართვა. მოსახლეობის 1948 წლის 7 ივნისს კონტროლის ბიუროდან გრიგოლ რობაქიძეს დადებითი პასუხი მოუვიდა. სანამ მისი მეუღლე მსახურობდა, მწერალი თავისუფლდებოდა ლტოლვილთა სახცოვრებელში ყოფნის ვალდებულებისაგან. ამასთან, 1947 წლის 16 თბერვლის სამთავრობო დადგენილების თანახმად, რომელიც საარსებო სახსრების გარეშე მყოფ ლტოლვილთა და ემიგრანტთა დახმარებას ითვალისწინებდა, პოლიცია განაგრძობდა გრიგოლ რობაქიძის რჩენის ხარჯების გაღებას. რაც შეეხება ელენა პოგორელოვას, მისი თხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩა. მოსახლეობის კონტროლის ბიურომ დაასკვნა, რომ მისი საბუთები და ლტოლვილთათვის განკუთვნილი სასწავლო სტიპენდია მისი მდგომარობის შესაცვლელად არ კმაროდა.

დოსიეში ჩართულია გრიგოლ რობაქიძის *Curriculum vitae*, რომელიც მისი თხოვნის შესწავლასთან დაკავშირებით უნდა იყოს პოლიციის მიერ შედგენილი.

„გრიგოლ რობაქიძე, ქართველი მწერალი.

დაიბადა 1884 წლის 1 ნოემბერს. სწავლობდა ლეიფციგის უნივერსიტეტში. სწავლა განაგრძო ჯერ იურევის, შემდეგ ყაზანის უნივერსიტეტებში. დაასრულა იურიდიული ფაკულტეტი.

თავის ქვეყანაში, საქართველოში, ცნობილია, როგორც რომანების, ესეების ავტორი, დრამატურგი და ლირიკული პოეტი.

მოსკოვში, 1930 წელს, სსრკ ხალხთა თეატრალურ ოლიმპიადაზე, მისმა პიესა *ლამარამ* დიდი წარმატება მოიპოვა.

რუსულ ენაზე დაწერა ნიგნი *პორტრეტები*.

რუსულ ენაზევე ცალკე ნიგნად გამოქვეყნდა ერთი თავი მისი რომანიდან *გველის პერანგი*.

ბროშურა სომხეთზე ჰაიასტანი ითარგმნა სომხურ ენაზე.

გერმანულ ენაზე შედგენილ კრებულში *ულამაზესი ლექსები მსოფლიო ლიტერატურიდან* შესულია მისი ლექსი „დიდი შუადღე“.

თბილისის ქალთა გიმნაზიასა და ბაქოს უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციები ქართულ ლიტერატურასა და ენაზე და გერმანულ რომანტიზმზე.

სსრკ დატოვა 1933 წლის დამდეგს.

გერმანულად გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაწარმოები: რომანები, ესეები, ნოველები, პორტრეტები.

მისი ორი რომანი თარგმნილია ჩეხურად, ერთი რომანი — იტალიურად, ერთი ნოველა — ესპერანტოს ენაზე. ჩანახატი „იმამ შამილი“ თარგმნილია არაბულად.

1938 წელს, ციურიხის უნივერსიტეტში, ჰოტინგერის ლიტერატურული საზოგადოების მიწვევით, წაიკითხა ლექცია „მსოფლიოს ხატი ქართველთა მიხედვით“.

1945 წლის აპრილში თავი შეაფარა შვეიცარიას. 1946 წლის 25 მარტიდან 1948 წლის მარტამდე ცხოვრობდა *ჟენევაში თავშეფარებულ ინტელიგენტთა სასწავლო პანსიონში*.

შვეიცარიაში დაასრულა ოთხი წიგნი. ჯერ არც ერთი მათგანი არ გამოცემულა.

მისი სახელი და ნაწარმოებები მოხსენიებულია შემდეგ გამოცემებში: Grand Brockhaus, 1933 და Schwetzer Lexikon, ტ. 6.“

1948 წლის 19 ნოემბერს გრიგოლ რობაქიძემ ყოველწლიურად განახლებადი პირადობის მონმობასაც აიღო.

ცოლ-ქმარი ახალ საცხოვრებელში გადავიდა, რომელიც ჟენევაშივე, სამედიცინო სკოლის სანაპირო ნომერ 8-ში მდებარეობდა და რომელიც მათ მდგმურისაგან, ვინმე აშიეროსგან უკონტრაქტოდ დაიქირავეს. 1949 წლიდან ბინა გათავისუფლდა, მაგრამ რობაქიძეებისათვის მისი დაქირავება არც ისე ადვილი აღმოჩნდა: ქალაქში საცხოვრებლის გაჭირვება იყო და ქალაქის მმართველობამ მოინდომა, ბინა თავად ჩაებარებინა. საქმეში გაერო-ს ერთა დარბაზი ჩაერთო, სადაც ელენა ფიალკინა მუშაობს და თხოვნით მიმართა საბინაო ბიუროს დირექტორს. თხოვნამ გაჭრა: ქირავნობის ხელშეკრულება ელენე ფიალკინას სახელზე გაფორმდა. სამთავიანი ხელშეკრულება სამ-სამი თვით გაგრძელებას ითვალისწინებდა.

საუბედუროდ, სიმშვიდე ხანმოკლე აღმოჩნდა. 1950 წლის 21 თებერვალს ელენა ფიალკინას დამბლა დაეცა. იგი იძულებული გახდა, მუშაობა შეენწყვიტა და მკურნალობას შესდგომოდა. რით ცხოვრობდა გრიგოლ რობაქიძე? 1952 წლის 11 თებერვლის ანკეტაში მწერალი მიუთითებს, რომ იგი ლტოლვილთა ცენტრალური ოფისისაგან თვითურად იღებს 330 ფრანკს, რომელსაც ემატება 50 ფრანკი ავადმყოფი მეუღლის წამლებისა და 100 ფრანკი, რომელიც ელენა პოგორელოვას ეძლევა.

ელენა ფიალკინამ სამუშაო დაკარგა, მაგრამ მისი ავადმყოფობა მეუღლეებს ბინის შენარჩუნების, შვეიცარიაში დარჩენისა და ერთწლიანი განახლებადი საბუთების მიღების საშუალებას აძლევდა. ამ პერიოდში ლტოლვილთა მიმართ შვეიცარიის მთავრობის დამოკიდებულება კიდევ უფრო შემწყნარებლურია. 1951 წლიდან სხვა ქვეყნებში იმიგრაცია საერთოდ აღარ შედის ლტოლვილთა ვალდებულებაში და ზოგიერთ მათგანს მუშაობის ნებართვაც ეძლევა.

1953 წელს, თითქმის ერთი წლით, ავადმყოფი ელენა ციურიხის ერთ-ერთ სამკურნალო დაწესებულებაში მოათავსეს. მკურნალობის საფასური დღეში 24 ფრანკს შეადგენდა. ამ ხარჯის დიდი ნაწილის გაღება „მართლმადიდებელ ლტოლვილთა კომისიამ“ იკისრა. გრიგოლ რობაქიძე ამ პერიოდის განმავლობაში ჟენევაში იმყოფებოდა.

1954 და 1955 წლებით დათარიღებული დოკუმენტები, ძირითადად, პირადობის საბუთების განახლებასა და მოგზაურობათა ნებართვებს შეეხება. ამ უკანასკნელი ტიპის საბუთებს გარკვეული ადგილი უჭირავს დოსიეებში. მეტი თვალსაჩინოებისათვის, გთავაზობთ დოსიეთა მიხედვით შედგენილ ცხრილს:

ნებართვის მფლობელი	გაცემის თარიღი	დანიშნულების ადგილი	მგზავრობის მიზანი
გ.რობაქიძე	1945, 24-29 სექტემბერი	ციურიხი	-----
გ. რობაქიძე	1945, 6-10 ოქტომბერი	ციურიხი	-----
გ. რობაქიძე	1945, 19-20 ოქტომბერი	-----	-----
გ. რობაქიძე	1945, 29 ნოემბერი	ლოზანა	-----
გ. რობაქიძე	1945, 8 დეკემბერი	ლოზანა	-----
ე. ფიალკინა	1946, 8 თებერვალი	ნემატელი, ციურიხი	-----
გ. რობაქიძე	1949, 5 იანვარი	პარიზი	კონფერენცია ლიტერატურის საკითხებზე
გ.რობაქიძე	1955, 7 ივლისი	პარიზი	სსრკ-დან ემიგრირებულ მწერალთა კონგრესი ვიზიტი ორ მეგობართან პარიზსა და ბრიუსელში

1945-1946 წლების გადაადგილებები, ძირითადად, ადმინისტრაციული მოთხოვნებით აიხსნება და ნებართვების გაცემაც უმტკივნეულო პროცესად მოჩანს. პირადობის საბუთების მიღების შემდეგ მწერალს ქვეყნის საზღვრებს გარეთ მოგზაურობის უფლებაც ეძლევა, თუმცა ვიზის მიღებას გაცილებით მეტი დრო სჭირდება და იგი ვალდებულია, დაწვრილებით აუხსნას სასამართლოსა და პოლიციის ფედერალურ დეპარტამენტს მოგზაურობის მიზნები და ვადები.

გრიგოლ რობაქიძე შვეიცარიაში ერთი ლტოლვილთაგანია. სხვა ათეულ ათასობით ლტოლვილთა მსგავსად, მასაც რის ვაი-ვაგლახით გააქვს თავი და მისი ყოველდღიური ცხოვრება ადმინისტრაციული საზრუნავით, საარსებო სახსრებსა და ავადმყოფ ცოლზე ფიქრით არის მოცული. შვეიცარია ყველა ჯურის ემიგრანტთა მოზღვავებული ნაკადების მართვას ვერ აუდის. ამ ორომტრიალში ლტოლვილს აღარა აქვს ეროვნება, წარსული, ბურჟუაზია არის მოცული მისი მომავალი. მწერალს თავს არავინ არიდებს ჰიტლერსა და მუსოლინიზე დაწერილი ესეების გამო, აქ მათ არც არავინ ახსენებს. მას ზურგს არავინ აქცევს: დასახმარებლად მზად არიან თავადაც გაჭირვებული ქართველი ემიგრანტები, შვეიცარიელი კეთილსმყოფელები.

მისი წიგნები არ იბეჭდება არა იმის გამო, რომ იმ ავადსახსენებელი ესეებით გაიტყუება სახელი, არამედ იმიტომ, რომ როგორც ემიგრანტს, ეკრძალება ყოველგვარი საშემოსავლო საქმიანობა და ამის თაობაზე, როგორც კანონი ითვალისწინებს, წერილობით პირობასაც დებს შემფარებელი ქვეყნის ხელისუფალთა წინაშე. შვეიცარიული ხელსუფლების ორგანოები შესანიშნავად არიან ინფორმირებულნი (სამოქალაქო... 2000:109) და ძნელი დასაჯერებელია, მკაცრი საიმისგანთავისუფლების კონტექსტში, გრიგოლ რობაქიძეს მუდმივი თავშესაფარი მიანიჭონ, მის ბიოგრაფია შავი ლაქებით რომ იყოს დაჩრდილული. გრიგოლ რობაქიძე მარტოა, რადგან ის ემიგრანტია, ადამიანურ და მწერლურ თავისუფლებას მოკლებული და როგორც ყველა ემიგრანტმა, მარტომ უნდა ზიდოს თავისი ჯვარი.

რა თქმა უნდა, ადმინისტრაციულ და სასამართლო საბუთებში ვერ ამოვიკითხავთ იმ სულის ღალადის, რასაც მწერლის პირადი წერილები გვიმხელენ. მათი მნიშვნელობა დოკუმენტურია. საარქივო მასალათა ზუსტი თარიღები და ფაქტები აუცილებლად საჭიროებს ქართულ წყაროებთან შეჯერებას. მე მხოლოდ მიკვლეული დოკუმენტაციის მოკლე მიმოხილვა შემოგთავაზებთ. მისი სრული შესწავლა და ქართველ მკვლევართა ხელთ არსებულ მასალასთან გამთლიანება კი მომავლის საქმეა.

უკანასკნელი დოკუმენტი, რომელიც ჩემს ხელთაა, 1955 წლის 7 ივლისით არის დათარიღებული. სამწუხაროდ, მწერლის ცხოვრების უკანასკნელი შვიდი წლის კვალს, მიუხედავად გულმოდგინე ძებნისა, ჟენევის არქივში ვერ მივაგენი.

გრიგოლ რობაქიძის შესახებ მასალები არ აღმოჩნდა არც შემდეგ საცავებში:

1. შვეიცარიის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული არქივი, ბერნი.
2. ჟენევის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება.

რობაქიძის მემკვიდრეობის ინვენტარი და დოსიე ინახება ჟენევის ერთ-ერთ სანოტარო ბიუროში. მისი კონსულტაცია მხოლოდ და მხოლოდ მწერლის მემკვიდრეთა უფლებას წარმოადგენს.

დასასრულს, განხილული საარქივო მასალის მოკვლევაში განეული დახმარებისთვის მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ჟენევის სახელმწიფო არქივის არქივარიუსი ბ-ნ ჟაკ ბარელე, აგრეთვე მადლიერება გამოვხატო ქართველი მკვლევარების, პროფ. ირმა რატიანის, დოქ. ლალი ცომაიას, დოქ. კონსტანტინე ბრეგაძის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და თანადგომისათვის.

### დამონებანი:

Bakradze, Ak'ak'i, *Txulebebi*, t. II, Tbilisi: gamomcemloba "nek'eri", "lomisi", 2005 (ბაქრაძე აკაკი. *თხულებანი*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, „ლომისი“, 2005).

Commission des Experts Indépendants, rapport final 2000-2001: "La Suisse, le national-socialisme et la Seconde Guerre mondiale", Pendo Verlag GmbH Zurich, 2002.

Fluckinger, Pierre et Bergnond, Gérard, *Les Réfugiés civils et la frontière genevoise durant la Deuxième Guerre mondiale. Fiches d'Archives*, Archives d'Etat de Genève, 2000.

დოსიეები:

AEG, Ef/2-09 n° 10968

AEG 1985 va 22 n° 265263

Votre autorisation de séjour échéant prochainement, vous êtes invité à répondre aux questions ci-dessous et à retourner cette formule, d'ici au .....  
au Bureau des permis de séjour, Contrôle de l'Habitant, rue de l'Hôtel-de-Ville 14.

Joindre le permis de séjour et les autres pièces de légitimation (passeport, certificat de nationalité, etc.).

## Questionnaire C

Demande de renouvellement d'une autorisation } de séjour  
d'établissement }  
de tolérance }

(Prière d'écrire très lisiblement)


1. Nom de famille **Robakidse** Prénom **Grigol**  
(lettres majuscules imprimées)
2. Date de naissance **1.11.1884** Lieu de naissance **Switze**
3. Nationalité **Apatide** Lieu d'origine **U.S.S.R**
4. Etat civil (célibataire, marié, veuf, divorcé) Religion **Orthodoxe-Grec**
5. Profession **Écrivain**
6. Marié à : (pour autant que l'épouse séjourne avec l'intéressé)  
Prénom **Hélène** Nom de jeune fille **Fialkine**  
Date de naissance **23.4.1900** Lieu de naissance **Ozère**  
Nationalité avant le mariage **Russe** Nationalité actuelle **Apatide**  
Religion **Orthodoxe-Grec**
7. Enfants, vivant avec les parents :
  1. Prénom ..... Date de naissance ..... Religion .....
  2. Prénom ..... Date de naissance ..... Religion .....
  3. Prénom ..... Date de naissance ..... Religion .....
  4. Prénom ..... Date de naissance ..... Religion .....
  5. Prénom ..... Date de naissance ..... Religion .....
8. Activité lucrative de l'épouse .....  
Activité lucrative des enfants ou des autres membres de la famille .....
9. Adresse exacte **Genève, 8, 9, place Médecine**
10. Durée de la prolongation demandée .....

OFFICE EUROPÉEN DES NATIONS UNIES

**CARTE D'IDENTITÉ**

N° **173** E

La présente carte est valable jusqu'au  
31 décembre 1950.



Le Directeur de l'Office européen des Nations Unies, représentant le Secrétaire général de l'Organisation des Nations Unies, certifie que

**Monsieur Grigori ROBAKIDZE**  
réside à Genève  
en qualité d'époux de **MADAME** de  
**Madame Hélène ROBAKIDZE**, fonctionnaire de  
l'Office européen des Nations Unies, détenteur de la carte de légitimation

N° **378 C**

Le Directeur de l'Office européen  
des Nations Unies, représentant le  
Secrétaire général :

*H. Hodel*

Geneve, le 19 Nov. 1949

Le Chef  
du Département Politique Fédéral :

*M. Hodel*

Berne, le 19. XI. 1949.

DUPLICATA



DÉPARTEMENT POLITIQUE FÉDÉRAL

**Carte de Légitimation**  
à l'usage des  
Fonctionnaires de  
l'Office européen des Nations Unies

est au bénéfice des immunités et facilités conférées par  
la section 15 de l'Arrangement provisoire du 19 avril 1946  
conclu entre le Conseil fédéral et le Secrétaire général  
de l'Organisation des Nations Unies.

La signature du titulaire  
doit être apposée  
sur la photographie

Le présent carte est valable jusqu'au  
31 décembre 1950.



*Hélène Robakidze*

N° **378 C** Carte délivrée à **MADAME HÉLÈNE**  
**ROBAKIDZE**

Fonctions : **PROFESSEUR**

Nationalité : **FRANÇAISE**  
école de Médecine,  
Genève

Le Chef  
du Département Politique Fédéral :

*M. Hodel*

Autographe officiel de l'Office  
Européen des Nations Unies

Geneve, le 19. XI. 1949

Le Directeur de l'Office européen  
des Nations Unies, représentant le  
Secrétaire général :

*H. Hodel*

GENÈVE

**Maia Varsimashvili-Raphael**  
**(France)**

## **Information about Grigol Robakidzé Obtained from the Geneva State Archives**

### **Summary**

**Key words:** Robakidzé, Giraudoux, myth, memory.

There is still only hazy knowledge of the years Grigol Robakidzé spent in Switzerland (1945-1962). We studied unedited material kept in the Geneva State Archives. This consists of two files which constitute 77 items in total. The documents, dating from 1945 to 1955, established by Swiss Police and Swiss Administration, throw light on certain facts and certain dates in the writer's biography.

During Germany's National Socialist period and that of the Second World War, Switzerland took in a great number of refugees, people fleeing the war, persecuted in their home countries for political, religious or racial reasons. Immigration policy hardened during the first years of the War, turning thousands of « undesirables » away. From 1943 onwards, the authorities became more tolerant towards asylum-seekers. The refugee situation was administered by the Federal Justice Department and the Police. Other bodies involved were the Federal Political Department, the Army, the Cantons, and combined aid organisations.

Work camps were created with the aim of putting the immigrants to work in the interests of the country and this internment also enabled them to be controlled and monitored. People were forbidden to work or engage in political activities or to harbour any attitude other than that of neutrality. Switzerland was considered, not as a country of definitive refuge, but as one of transit, and refugees were encouraged to continue their journey towards other countries. After the War, the authorities granted lasting asylum to those people who, by reason of their age or failing health, were unable to leave Swiss territory. The Law adopted by Parliament in 1947, decreed that the Confederation and the Cantons should provide financial aid for them.

Grigol Robakidzé, accompanied by his wife Héléne Fialkina and her niece, Héléne Pogorelova, left Germany and crossed the Swiss border on 23<sup>rd</sup> April 1945.

Available documents enable us to follow his peregrinations over ten years.

On their arrival in Switzerland, all clandestines were placed in camps near the borders. Then they were transferred to quarantine camps for three weeks then sent on to work camps or disciplinary camps.

The Robakidzé family was sent firstly to the camp at Basle. Here they were subjected to double monitoring, civil and military. The writer's friends tried to make his life as a refugee easier. Khariton Chavichvili, a Georgian emigrant living in Geneva, applied to the Residents' Control Service for permission for Grigol Robakidzé to move to Geneva

for three months in order to prepare his departure for France, where he would be taken care of by the Georgian Community.

Despite the fact that this type of civil internment sheltering was permitted after the War, Mr Chavichvili's application was refused : the Residents' Control Service considered his means for living insufficient to merit a favourable reply.

In July 1945, the couple were still in Basle, then, in August, they were transferred to the Geneva camp. In 1946, the writer and his wife were placed in the *Intellectual Refugees' Home* where they stayed until 1948. Grigol Robakidzé benefited from internment in this establishment, created specially for intellectuals, which allowed them to pursue their professional activities, but without being able to escape their refugee status.

The *Home* closed in 1948 and Robakidzé applied for permission to have an individual lodging. Thanks to the fact that his wife, Hélène Fialkina had obtained a post as a typist at the European Office of the United Nations and therefore had an income, his application was granted. In 1949, the couple became tenants of an apartment at 8 Quai de l'Ecole, in Geneva.

The writer evidently changed his intention to join his Georgian emigrant compatriots in France. In 1947, he had already lodged a long term residency permit application in Switzerland ; in 1948 he renewed his application and obtained an annually renewable residency permit. Grigol Robakidzé continued writing. He finished two books : « *Israël : Mystery and Destiny* » and « *At Isis' Wells* ».

In 1950, the Robakidzé family's relative stability was shattered. Hélène Fialkina was afflicted with apoplexy and lost her job. The couple succeeded in keeping their apartment, living on aid from the Central Refugees' Office as well as sickness benefit. Hélène Fialkina was in need of permanent care and in 1953 she was sent to a clinic in Zürich for several months while her husband remained in Geneva.

Travel permits issued by Swiss authorities show that Grigol Robakidzé didn't travel much, and principally within the country. They also show rare trips to Paris for a variety of reasons.

The most recent document of the two files date from 7<sup>th</sup> July 1955. We found no documents concerning the writer's life and work, neither in the Manuscripts Service of the Geneva Library, nor in the Archives of the Swiss National Library in Bern.